თბილისის არქიტექტურის ბიენალე

2018 წლის 17 ოქტომბერს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტს ესტუმრა თბილისის არქიტექტურის ბიენალეს დამფუძნებელი ოთარ (ოთო) ნემსაძე. შეხვედრაზე ოთო ნემსაძემ სტუდენტებს და პროფესორ–მასწავლებლებს გაუზიარა თბილისის არქიტექტურის ბიენალეს მიზანი და ამოცანები. ისაუბრა იმ ღონისძიებებზე, რომელიც დაგეგმილია ბიენალეს ფარგლებში.

თბილისის არქიტექტურის ბიენალე 2018 პირველი საერთაშორისო არქიტექტურული ფესტივალია, რომელიც საქართველოში ჩატარდება. 2018 წელს ბიენალე სახელწოდებით "მხოლოდ შენობები არ კმარა" ქალაქის ცვალებადი პროცესების და საცხოვრებელი უბნების არაფორმალურ ურბანულ და სოციალურ სივრცეებს შეისწავლის.

თბილისის არქიტექტურის ბიენალე მასპინძლობს წამყვან არქიტექტორებს, მეცნიერებს და ხელოვანებს როგორც საქართველოდან ასევე მსოფლიოს სხვადსხვა კუტხიდან.
ბიენალეს პროგრამა აერთიანებს სხვადასხვა გამოფენებს, სიმპოზიუმს და არქიტექტურულ ინსტალაციებს.

გარდა ამისა თბილისის არქიტექტურის ბიენალეს დამფუძნებელმა სტუდენტებს შესთავაზა ღონისძიებებში ჩართვა მოხალისეებად. ბიენალეს დასრულების შემდგომ თვითოეულ მოხალისეს გადაეცემა სერთიფიკატი.

თბილისის არქიტექტურული ბიენალეს ვებგვერდი: biennial.ge

E-mail: info@biennial.ge

თბილისის არქიტექტურული ბიენალეს ღონისძიებების პროგრამა: